უდიდესი აღფრთოვანებით, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოსათვის, 60 წლის მანძილზე მისი მსოფლიო-ისტორიული წარმატებებისათვის სიამაყის გრძნობით შეხვდნენ სომხეთის მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ისინი მხურვალედ იწონებენ მშობლიური ლენინური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საბჭოეთის ახალი კონსტიტუცია შთააგონებს ჩვენი რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას ახალ შრომითს მიღწევებს კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული, საბჭოთა ხალხების ერთიან ძმურ ოჯახში სომხეთის სს რესპუბლიკის მშრომელები საიუბილეო წელს აღნიშნავენ ახალი მიღწევებით იმ საქმისათვის, რომელსაც სიცოცხლე მოახმარა რევოლუციურ მებრძოლთა უფროსმა თაობამ, დიდი ოქტომბრის საქმისათვის, არ დაიშურებენ ძალ-ღონესა და ენერგიას, რათა განახორციელონ სკკპ ისტორიული XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

საბჭოთა კავშირის ვარ მოქალაქე!

რესპუბლიკის განვითარებადი სამრეწველო ცენტრის — ადოვიანის ორმოცამ მოქალაქემ საზეიმო ვითარებაში მიიღო სსრ კავშირის გერბიანი პასპორტები. ესენი არიან სომხები, რომლებიც საბჭოთა სომხეთში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ საცხოვრებლად. გულშიჩამწვდომად, შთამბეჭდავად გაისმა სამოცი წლის მ. აკოფიანის სიტყვები:

— ხამშობლოში დაბრუნების შემდეგ ეს ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი დღეა. საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე!

ოცდაათი წლის წინათ ეს სიტყვები ამაყად წარმოთქვა ზაევ დოლაბჩიანმაც, ახლა სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, ქვეყნის ერთ-ერთმა წამყვანმა კარდიოლოგმა.

— „საბჭოთა კავშირის ვარ მოქალაქე!“ — ეს პოეტური სტრიქონი, — თქვა მან, — სიამაყის სიმბოლო, ბედნიერების სიმბოლო გახდა. მის მნიშვნელობას განსაკუთრებით გრძნობ საიუბილეო წელს, დიდი ოქტომბრის „სიცოცხლის ხეს“ მოგვაგონებს. ეს არის საგვარეულოს ბიოგრაფია, რომელიც რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე, დამპყრობის მახვილისაგან თავი რომ გადაერჩინა, იძულებული გახდა უცხოეთში გადახვეწილიყო. ამ საგვარეულოს სამასი წარმომადგენელი დაუბრუნდა სამშობლოს ოცდაათი წლის წინათ. და ისევე როგორ მზე ძალას მატებს ვაზს, ოქტომბრის შუქმაც აღორძინა გრიგორიანთა გვარი. ამ ოჯახის სამი ათასი წევრი შრომობს ახლა სომხეთში. რა ლავედი აღიზარდა ოქტომბრის შუქით სამშობლოს უხვ მიწა-წყალზე. მომღერალი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი მგერან ერკატი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი დირიჟორი ოპანეზ ჩიკიჯიანი, ცნობილი მწერალები სტეფანე კურტიკიანი, სტეფანე ალაჯაჯიანი... და განა ყველას ჩამოთვლა შეიძლება!

არარატის ველზე მევენახის აბრამ გრიგორიანის სახლში არაჩვეულებრივი დღეა. იგი რაღაცით „სიცოცხლის ხეს“ მოგვაგონებს. ეს არის საგვარეულოს ბიოგრაფია, რომელიც რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე, დამპყრობის მახვილისაგან თავი რომ გადაერჩინა, იძულებული გახდა უცხოეთში გადახვეწილიყო. ამ საგვარეულოს სამასი წარმომადგენელი დაუბრუნდა სამშობლოს ოცდაათი წლის წინათ. და ისევე როგორ მზე ძალას მატებს ვაზს, ოქტომბრის შუქმაც აღორძინა გრიგორიანთა გვარი. ამ ოჯახის სამი ათასი წევრი შრომობს ახლა სომხეთში. რა პროფესიის ადამიანები არ არიან მათ შორის — მუშები, კოლმეურნეები, ინჟინრები, აგრონომები, მშენებლები, თვითონ აბრამი სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ოქტომბრის შუქი! იგი ოქროსფერად ელვარებს სოციალისტური შრომის გმირების — მქსოველ ცადკანუშ გალემტერიანის, მემინდვრე გაბრიელ თოვმასიანის მკერდზე. იგი თითოეულ ჩვენგანშია, ვისი ბედიც განუყოფელად უკავშირდება ქვეყნის ბედს.

ოქტომბრის შუქი, რომელმაც ფერფლიდან აღადგინა ნაირის ქვეყანა, ათასობით ჩემი თანამემამულისათვის მზის მანათობელი ვარსკვლავი გახდა. აი უკვე ოცდაათი წელია რკინიგზის სადგურებზე, აეროპორტში, ნახავთ სკენას, რომელსაც გულგრილად ვერავინ შეხედავს. ადამიანები, რომლებიც თვითმფრინავიდან ჩამოდიან, კოცნიან შმობლიურ მიწას. ამ წლების მანძილზე ორი ათასზე მეტი კაცი დაბრუნდა მამა-პაპათა მიწაზე. და ეს პროცესი გრძელდება.

— ერევანსა და ლენინაკანში, კიროვაკანსა და ალაგიზში, ჩარენცავანსა და ადოვიანში ახალი კეთილმოწყობილი უბნები აშენდა, სადაც საბჭოთის ახალგაზრდა მოქალაქენი ცხოვრობენ, — თქვა დასასრულ ზაევ დოლაბჩიანმა. — და დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წელს ისინი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, შრომით განამტკიცებენ ჩვენი დიდი საბჭოთა სახლის ძლიერებას, რომლის სრულფუფლებიანი მოქალაქენიც ხარან. (საკდესის კორ.).

ვარდაქეს ბაბაკიანი

ქვეყანა — ჩემი სახლი

ჩემთვის ქვეყანა
არა სახტუმრო,
ჩემი სახლია
მამაპაპური,
მინდა ყოველდღე
დავადასტურო,
რომ მიყვარს
მისი ყველა აგური.

მე ამ სახლში ვარ
დაბადებული,
არა იმისთვის,
მხოლოდ ვაჯდებოდე,
მინდა ყოველ წელს
განახლებული
ეს დიდი სახლი
მეგულებოდეს.

არ მრჯის
სახელი პატივმოყვარე,
ბარიკადაზე რომ
ვარ ასული,
მე ვარ მოსარჩლე,
მე ვარ მოზარე
ჩვენს საზღვარს იქით
ყველა ჩაგრულის.

ვიცავ მშვიდობას
მუდამ, მარადის,
რომ ყველგან ძმობამ
გაშალოს ფრთები...
და მეჩვენება,
რომ ვარ ატლანტი
და დედამიწა
მიპყრია მხრებით.

მინდა დავტოვო
ნამუსის კვალი, —
შრომა, შენება
მომდევს თანმხლებად,
სამშობლოს ვუყვერ
არგუსის თვალით,
გულით შევხარი
მის განახლებას...

თარგმნა
სტეფანე მხარგრძელისა.

ინფორმაცია

ციფრების ენით

● **სომხეთის სს რესპუბლიკის ტერიტორიას 29,8 ათასი კვადრატული კილომეტრი ფართობი უკავია. მოსახლეობა 2.894 ათასი კაცია.**

● **ახლა მარტო ერთ დღეში რესპუბლიკის მრეწველობა უშვებს იმისი მოცულობის პროდუქციას, რომელსაც მთელი სომხეთი უშვებდა პირველი ხუთწლედის მთელ პირველ წელს.**

● **ყოველდღე** სომხეთის საწარმოები უშვებენ ცვლადი დენის 100 გენერატორს, 1800 ელექტროძრავას, 290 ფთას სანთი ელექტრომილაკს, 28 ათასი მანეთის გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებებს, ექვსი ათას ცალზე მეტ ყაფთს, 36 ათას წყვილ ფეხსაცმელს, 160 ათას მეტრ ბამბის, 23 ათას მეტრ შალის ქსოვილს.

● **საბჭოთა** ხელისუფლების წლებში სარწყავი მიწების ფართობი ოთხჯერ გაიზარდა. გასარწყავებულია 200 ათას ჰექტარზე მეტი. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 6,5-ჯერ გაიზარდა.

● **1926 წელს რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფართობი 778 ათასი კვადრატული მეტრი იყო. ახლა იგი 12.574 ათასს უდრის. 20-ჯერ გაიზარდა ამ დროის მანძილზე საცხოვრებელი ფართობი სომხეთის დედაქალაქ ერევანში.**

● **რესპუბლიკაში** 1535 სკოლაა, რომლებშიც სწავლობს 650 ათასზე მეტი ბავშვი. მოზარდ თაობის ზრდის 43.500 მასწავლებელი — ერთიორად მეტი, სომხეთში 1920 წლის მოსწავლეთა რიცხვთან შედარებით.

● **სომხეთში** 1324 მაღაზიები ბიბლიოთეკაა, რომელთა წიგნის ფონდი 12 მილიონს აღემატება. ქალაქებსა და სოფლებში არის 1.180 კულტურის სასახლე, სახლი და კლუბი, 35 მუზეუმი.

● **რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებებში შრომობს 18 ათასამდე მეცნიერი მუშაკი.**

მეგობრობის ესტაფეტა

ლენინაკანის მაიხის აჯანყების სახელობის ბამბეულის გაერთიანების ფაბრიკაში მიღწეულია ატპ — 100 მარკის ჩარხების უმაღლესი მწარმოებლურობა, რომლებითაც აღჭურვილია წარმოება. ამით საწარმოს კოლექტივმა შეასრულა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტურ ვალდებულებათა ერთ-ერთი პუნქტი. ფეიქრებმა კიდევ ერთი შესწორება შეიტანეს ვალდებულებებში: შვიდი ნოემბრისათვის ისინი მეტ ქსოვილს გამოუშვებენ, ვიდრე ვალდებულებებით აქვთ ნაკისრი.

ფეიქარი სასახლის მუზეუმში ერთმანეთის გვერდით დგას ორი დაზგა. ძველი „პლატი“ და ახალი პნევმატიკურ-რაპირული ატპ-100. და ორივეს უშუალო დამოკიდებულება აქვს ჩვენს საწარმოსა და ჩვენი, სტეფანიანების მუშაურ დინასტიასთან. პირველი დაზგა მამამ ითივისა, მეორე კი — ჩვენ — მთელმა ოჯახმა. ამ დაზგებს შორის ნახევარ საუკუნეზე მეტი ჩამდგარა. ამდენივე ხნისაა ჩვენი კომბინატი — გიორგიანების მეთაური საწარმო. ნახევარი საუკუნისაა ჩვენი ფეიქრების მეგობრობაც ივანოვოს ოლქის ქალაქ ვიჩუგის ნოგინის სახელობის ფაბრიკის კოლექტივთან.

...სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლები იყო. ერთხელ ქალაქ ლენინაკანში, რომელსაც მაშინ ალექსანდროპოლი ერქვა, ხმა დაირხა, რუსული მანქანები მოგვივიდოო: ვიჩუგის ფეიქრებს გაეგოთ, რომ სომხეთში საფეიქრო წარმოება იქმნებოდა და თავიანთი დაზგები გამოეგზავნათ. ისინი გვწერდნენ: „ძვირფასო სომეხო ამხანაგებო, მიიღეთ ჩვენი მოკრძალებული საჩუქარი და იბრძოლეთ სამამულო საფეიქრო მრეწველობის განვითარებისათვის“.

იმ გლეხის ბიჭებს შორის, რომლებიც პირველად დადგნენ ჩარხებთან, მამაჩემი ოვანეს სტეფანიანიც იყო. ივანოველები მაშინ არა მარტო „არატრადიციული“ დარგის ათვისებაში დაგვეხმარნენ, არამედ თავიანთი მდიდარი გამოცდილებაც გაგვიზიარეს. ვეტერანები კარგად იცნობენ ვიჩუგის კადრის ფეიქრებს, რომლებიც ხშირად ჩამოდიოდნენ ლენინაკანში, გეეხმარებოდნენ ტექნიკის ათვისებაში, გვასწავლიდნენ შრომის მოწინავე მეთოდებს. და ეს მეგობრობა, რომელიც წლითიწლობით მტკიცდებოდა, პატარა ფაბრიკას დაეხმარა ამიერკავკასიის უდიდეს საწარმოდ ქცეულიყო.

ჩვენ, სამი ვაჟიშვილი, მამამ კომბინატში მოგვიყვანა. ყველანი ისევე, როგორც მამაჩვენი ოსტატების თანაშემწეები გავხდით. და თითოეულ ჩვენგანს ტრადიციასმებრ ვიჩუგამი ყავს მეგობარი მეტოქეები. აკი უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც ნეგენი ორი საწარმო ერთმანეთს ეჯიბრება. მეგობრებისგან ვისწავლე შრომის მოწინავე მეთოდები, მუშაობის ორგანიზაცია, შემდეგ კი მათთვის დახმარების გაწევის დროც დადგა. როცა რამდენიმე წლის წინათ დაიწყეს ჩვენი ქვეყნის საფეიქრო მრეწველობის გადაყვანა ახალ მაღალეფექტიან სამამულო ტექნიკაზე, ჩვენ — მამაჩემს, ძმებს — პარუირს, ლევონსა და მე შემოგვთავაზეს აგვეთვისებინა ატპ-ის მარკის დაზგა. ამ დაზგებზე სხვადასხვა აზრს გამოთქვამდნენ, ზოგი ამბობდა, ჭირვეული დაზგებიაო, სხვების აზრით კი ისინი დიდად უსწრებდნენ თანამედროვე წარმოებას. დაზგები ავითვისეთ და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის დავალებით დავიწყეთ გამოცდილების გაზიარება ჩვენი ქვეყნის სხვა საფეიქრო საწარმოებისათვის.

ორი წლის წინათ დარგის მუშაკთა საკავშირო შეკრებაზე გამოვედი ინიციატივით, მთელ ბრიგადას ერთ ხუთწლედში შეგვესრულებინა ორი ხუთწლედი. და წარმის წილი 6,5 პროცენტიდან 20 პროცენტამდე გაიზრდება.

დიდი ამოცანები უნდა გადაწყვიტონ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მათ მთლიანი პროდუქციის საშუალო-წლიური მოცულობა უნდა გაადიდონ 24 პროცენტით. ამ დარგის შემდგომ განვითარებას მოხმარდება 1,3 მილიარდი მანეთი. მნიშვნელოვან გაქანებას მიიღებს კაპიტალური მშენებლობა. ხუთწლედის პირველ წელს რესპუბლიკის მშრომელთა მიერ აღებული სტარტი მოწმობს მათს მტკიცე გადაწყვეტილებას, პირნათლად შეასრულონ დავალებანი.

ემზადებიან რა ღირსეულად აღნიშნონ დიდი ოქტომბრის იუბილე, შრომითმა კოლექტივებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი, რომლებიც ეიზნად ისახავენ მუშაობის ხარისხის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, გადაწყდა ღონისძიებანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და გაგზავნების, აგრეთვე სამშენებლო-საინჟინრო საქმეთაოთა გეგმები შესრულდეს 27 დეკემბრისათვის, 7 ნოემბრისათვის აითვისონ 200 ახალი სახეობის ნაწარმის გამოშვება. საიუბილეოდ მთლიანად უნდა დამთავრდეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ყურძნის, ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, ხორცის, რძის, კვერცხისა და მატყლის მიყიდვის წლიური გეგმები. მიღებულია აგრეთვე სხვა ვალდებულებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის, სამედიცინო მომსახურების სფეროს გაუმჯობესებას.

უდიდესი აღფრთოვანებით, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოსათვის, 60 წლის მანძილზე მისი მსოფლიო-ისტორიული წარმატებებისათვის სიამაყის გრძნობით შეხვდნენ სომხეთის მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ისინი მხურვალედ იწონებენ მშობლიური ლენინური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. საბჭოეთის ახალი კონსტიტუცია შთააგონებს ჩვენი რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას ახალ შრომითს მიღწევებს კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული, საბჭოთა ხალხების ერთიან ძმურ ოჯახში სომხეთის სს რესპუბლიკის მშრომელები საიუბილეო წელს აღნიშნავენ ახალი მიღწევებით იმ საქმისათვის, რომელსაც სიცოცხლე მოახმარა რევოლუციურ მებრძოლთა უფროსმა თაობამ, დიდი ოქტომბრის საქმისათვის, არ დაიშურებენ ძალ-ღონესა და ენერგიას, რათა განახორციელონ სკკპ ისტორიული XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

საბჭოთა კავშირის ვარ მოქალაქე!

რესპუბლიკის განვითარებადი სამრეწველო ცენტრის — ადოვიანის ორმოცამ მოქალაქემ საზეიმო ვითარებაში მიიღო სსრ კავშირის გერბიანი პასპორტები. ესენი არიან სომხები, რომლებიც საბჭოთა სომხეთში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოვიდნენ საცხოვრებლად. გულშიჩამწვდომად, შთამბეჭდავად გაისმა სამოცი წლის მ. აკოფიანის სიტყვები:

— ხამშობლოში დაბრუნების შემდეგ ეს ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი დღეა. საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე!

ოცდაათი წლის წინათ ეს სიტყვები ამაყად წარმოთქვა ზაევ დოლაბჩიანმაც, ახლა სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა, ქვეყნის ერთ-ერთმა წამყვანმა კარდიოლოგმა.

— „საბჭოთა კავშირის ვარ მოქალაქე!“ — ეს პოეტური სტრიქონი, — თქვა მან, — სიამაყის სიმბოლო, ბედნიერების სიმბოლო გახდა. მის მნიშვნელობას განსაკუთრებით გრძნობ საიუბილეო წელს, დიდი ოქტომბრის „სიცოცხლის ხეს“ მოგვაგონებს. ეს არის საგვარეულოს ბიოგრაფია, რომელიც რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე, დამპყრობის მახვილისაგან თავი რომ გადაერჩინა, იძულებული გახდა უცხოეთში გადახვეწილიყო. ამ საგვარეულოს სამასი წარმომადგენელი დაუბრუნდა სამშობლოს ოცდაათი წლის წინათ. და ისევე როგორ მზე ძალას მატებს ვაზს, ოქტომბრის შუქმაც აღორძინა გრიგორიანთა გვარი. ამ ოჯახის სამი ათასი წევრი შრომობს ახლა სომხეთში. რა

ფოტოინფორმაცია

სომხეთის სსრ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი საიუბილეო დღეებში მთელი სიძლავრით მიმდინარეობს სომხეთის ატომური ელექტროსადგურის მეორე რიგის მშენებლობა. მეათე ხუთწლედის დამკვრელურ ობიექტს მთელი საბჭოეთი აშენებს. აქ შრომობენ ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ადამიანები, რომლებსაც მტკიცე მეგობრობა აკავშირებთ.

სურათზე: ბელორუსიის ქალაქ გომელის მკვიდრი არკადი ბელი (მარჯვნივ) და ერევნელი რუბიკ ნოფფურანი.



სომხეთის სსრ. ბიურაკანის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ერთ-ერთი მთავარი ასტრონომიული ხელსაწყოა ტელესკოპი, რომლის ხარკის დიამეტრი 2,6 მეტრია.

სურათზე: ბიურაკანის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში.

ო. ივანოვისა და მ. შახბაზიანის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

დიდი ოქტომბრის შუქმა სომეხი ქალი დაბეჩავებული მდგომარეობიდან გამოიყვანა, მისცა მას შრომის, განათლების, დასვენების უფლება. ამჟამად, თავისუფალ ერთა ძმურ კავშირში ქალი არის დედა, პედაგოგი, მშენებელი, მეკვნახე, მფრინავი, მეცნიერი, კულტურის მუშაკი... ერთი სიტყვით, არ არსებობს სახალხო მეურნეობის არც ერთი უბანი, სადაც აქტიურად არ მონაწილეობდეს იგი.

სურათზე: სომხეთის ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ქალთა ჯგუფი.

ინფორმაცია

მეათე ხუთწლედის დამკვრელურ მშენებლობაზე — სომხეთის ატომურ ელექტროსადგურზე ფართო ფრონტით გაჩაღდა მეორე ენერგობლოკის ქვაბულის მშენებლობა. ყველა სამუშაო გრაფიკის გასწრებით სრულდება. მშენებლებისა და მემონტაჟეთა კოლექტივმა გადაწყვიტა წლიური დავალება დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის შეასრულოს. საიუბილეო შრომითი პატაკის ხელმოწერის უფლებისათვის გაჩაღებული შეჯიბრების მონაწილეთა შორის წინ არის ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ამბარცუმ მანუკიანი ხელმძღვანელობს.

უკვე ხუთი თვეა, ძველს სომხეთის ატომური გული. კოლექტივს მუდამ ეხსომება პირველი ენერგობლოკის ამუშავების ამაღელვებელი დღეები, ის გულთბილი სიტყვები, რომლებითაც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მიესალმა კოლექტივს შრომითი გამარჯვება.

— ატომური რეაქტორი, რეკორდულად მოკლე ვადაში დამონტაჟდა და გადაეცა საექსპლოატაციოდ, — ისე ამბობს ამბარცუმ მანუკიანი, თითქოს ხელახლა განიცდიდეს იმ ბობოქარ დღეებს, — აქ ჩვენთან ერთად შრომობენ მოსკოველები და გორკელები, ლენინგრადელები და ალობაიჯანელები, კოლისა და ნოვოვორონეჟის ატომური ელექტროსადგურების კოლექტივთა წარმომადგენლები. ვერც კი ჩამოთვლი ყველას, ვინც ამაყად უწოდებს ამ მშენებლობას თავის მშენებლობას.

მეწამორის ბორცვის ძირას, სადაც ძველად სომეხი მეტალურგები რკინის მადანს აღნობდნენ, ეეგებრთელა ზეფსაცეკარი აღმართულა.

— ევროპაში ყველაზე მაღალი ლითონის კოშკები მოსკოვში დაპროექტეს, — ამაყად ამბობს ბრიგადირი, — „პროექტფოლად კონსტრუქციის“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში, სარწყავები კი ლენინგრადელებმა დააპროექტეს სამეხ სპეციალისტებთან ერთად. ასეთი სარწყავები ჯერ არსად არ არის.

სომხეთის ატომური ელექტროსადგური უნიკალური ნაგებობაა. სამამულო პრაქტიკაში პირველად აშენდა ეს სეისმური ატომური ელექტროსადგური, რომელიც მთელი სეისმურობის რაიონებში მისი უსაფრთხო ექსპლოატაციის ყველა მოთხოვნის შესაბამისადაა ნაგები. და დღეს როცა მისი პირველი ეშერგობლოკი მიღებულია და შესანიშნავად მუშაობს, სავსებით გასაგებია ელექტროსადგურის დამპროექტებლების, მშენებლების კანონიერი სიამაყე.

ჩვენი ქვეყნის 70 საწარმო, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ორგანიზაცია სომხეთის ატომურ ელექტროსადგურს ახმარს კოლექტიურ ნიჭს, მეცნიერულ და საინჟინრო აზრს, გიგანტების მშენებლობის დროს შეძენილ გამოცდილებას.

ამბარცუმ მანუკიანს იმ უბანზე მივყავართ, სადაც მიხეილ კარაპეტიანის, ნიკოლოზ ხატნიუკის, გრიგოლ გულიანის კომპლექსური ბრიგადები მუშაობენ.

— ბიჭებმა აქ პირველად გამოიცვნეს ხურეკის ჰიდროელექტროსადგურის მუშური ესტაფეტის მეთოდი. კარგად ააშენა — კარგად ჩაბარა, — ამბობს იგი, — და არა მარტო გამოიყენეს, არამედ შეკიბრებაშიც ჩაბეს ტრანსპორტელები, მომმარაგებლები. ამის გამო კარგად ჩავბარეთ პირველი ენერგობლოკის ყველა ობიექტი და არც ახლა ვანელებთ ხარისხისათვის ბრძოლის ტემპს.

120-130 პროცენტი დღიური დავალება! — ასეთია მოწინავე ბრიგადების ჩვეულებრივი ნორმა, რომლებიც მეორე რიგის ობიექტებზე მუშაობენ. ერთმანეთის სრული შეცვლის შესაძლებლობა მუშაობის დროს, სოციალისტური შეჯიბრების კარგი ორგანიზაცია, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მშენებელთა გამოცდილების შემოქმედებითი გამოყენება — აი, წარმატების საწინდარი.

— ჩვენი მშენებლობის მიხედვით ადვილი შესასწავლია ჩვენს ქვეყანაში შობილი შრომისა და ლაპროექტების მოწინავე მეთოდების შესწავლა, — ამბობს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს უფროსი ა. მელიქსეტიანი, მხეფსაცივრებიდან დაწყებული შვავდობიანი ატომის

ფიზკულტურა და სპორტი

რსფსრ ნაკრები — პირველ ადგილზე

საქართველოს მრავალჭიდელების წარმატება

მეთ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე IV საკავშირო პირველობა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს ეძღვნება, ღირსშესანიშნავ მოვლენად შევა საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ისტორიაში. ეს იყო მასობრივი სპორტის, სილამაზის, ჯანმრთელობის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის ჭეშმარიტი ზეიმი.

საქართველოს დელეგაციაც არაფერი დაუკლია ასპარეზობის მონაწილეებისთვის. სტუმრებს გვერდიდან არ იცილებდნენ შეფები. ეულისხმიერმა მასპინძლობამ კი, რა თქმა უნდა, პირველობის შედეგებშიც იჩინა თავი — **ადრინდელი არც ერთი შეჯიბრება არ ყოფილა დამშვენებული ამდენი ტალღურგების ბავშვებისათვის.** ამ კონცერტზე ვ. შუბლაძის დირიჟორობით ოდესის ფილარმონიის ორკესტრმა შეასრულა ქართველი, უზბეკი, ტაჯიკი, უკრაინელი და რუსი კომპოზიტორების ჰუსიკა.

ოქტომბრის მე-60 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტებზე ოდესაში, — თქვა კულტურის სამინისტროს უფროსმა ვ. ჩერკასკიმ, — ყველაზე სომხეთის, ბელორუსიის, მოლდავეთის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მუსიკა. ქართველ კომპოზიტორთა საავტორო კონცერტი შემოქმედებითი მეგობრობის მწვერვალია. მუსიკა, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ, მიუძღვნა ქართველი ხალხის დიდ ნიჭს და მისი გამოვლენის ფართო შესაძლებლობებს, რომლებიც საბჭოთა საქართველოში სოციალისტური განვითარების წლებში შეიქმნა.

ოდესაში ყოფნის დროს მოძმე საქართველოს ხელოვნების ოსტატები გაეცნენ ქალაქის შესაკალურ ცხოვრებას, დაათვალიერეს ღირსშესანიშნაობები, იყვნენ თეატრებსა და მუზეუმებში.

ნ. ლიაპინა,
საკადრისის კორ.

ქ. ოდესა.

ბუნდოვანი პირველობა წილად ხვდა რსფს რესპუბლიკის ნაკრებ გუნდს — 3478 ქულა. მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად ლენინგრადისა და მოსკოვის წარმომადგენლები არიან.

გუშინ ჩემპიონატი საზეიმო ეითარებაში დაიხურა.

თ. გაჩეჩილაძე.

* * *

ასპარეზობათა ჩემპიონებისათვის დაწესებული იყო სპეციალური პრიზები. გაზეთ „კომუნისტის“ პრიზი გადაეცა საკავშირო რეკორდსმენს **საიდა გუმბას** (საქართველო).

სურათებზე: მძლეოსნური კროსების დისტანციებზე.

მ. ზარგარიანის ფოტო.

მიეძღვნა დიად იუბილეს

ოდესაში აქლერდა

ოდესის ფილარმონიის ძველ საკონცერტო დარბაზში ამ დღეებში აღლერდა ქართველი კომპოზიტორების მუსიკა. თბილისელი კომპოზიტორები ოდესაში ჩამოვიდნენ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი ანგარიშით. აქ პირველად შესრულდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ს. ცინცაძის მეხუთე სიმფონია, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის პროფესორ რ. გაბიჩვაძის ბალეტ „ჰამლეტის“ მუსიკა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ი. გორდელის კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. ოდესელი მუსიკის მოყვარულების სამსჯავროზე ახალგაზრდა ქართველმა კომპოზიტორმა ლ. კასრაძემ წარმოადგინა ოქტომბრის იუბილესადმი მიძღვნილი უვერტიურა ორკესტრისათვის.

ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებითი ანგარიში ოდესაში მოძმე ხალხთა ინტერნაციონალურ დღესასწაულად იქცა. ქართველმა მუსიკოსებმა კონცერტები გამართეს, მგზავრ ქალაქის პიონერებისათვის, დოკერებისა და ამწეებმშენებლების, გემთმშენებლებისა და მეტალურგების ბავშვებისათვის. ამ კონცერტზე ვ. შუბლაძის დირიჟორობით ოდესის ფილარმონიის ორკესტრმა შეასრულა ქართველი, უზბეკი, ტაჯიკი, უკრაინელი და რუსი კომპოზიტორების მუსიკა.

ოქტომბრის მე-60 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტებზე ოდესაში, — თქვა კულტურის სამინისტროს უფროსმა ვ. ჩერკასკიმ, — ყველაზე სომხეთის, ბელორუსიის, მოლდავეთის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მუსიკა. ქართველ კომპოზიტორთა საავტორო კონცერტი შემოქმედებითი მეგობრობის მწვერვალია. მუსიკა, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ, მიუძღვნა ქართველი ხალხის დიდ ნიჭს და მისი გამოვლენის ფართო შესაძლებლობებს, რომლებიც საბჭოთა საქართველოში სოციალისტური განვითარების წლებში შეიქმნა.

ფეხბურთი

ტური დამთავრდა

კვირას გამართული ოთხი შეხვედრით დამთავრდა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის 28-ე ტური, ამ მატჩებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გათამაშების ცხრილის ქვედა საფეხურებზე მდგარი გუნდებისათვის. აი როგორ დამთავრდა ეს მატჩები:

„არარატი“ —
„ლოკომოტივი“ — 1:0.
„ზენიტი“ —
„ჩერნომორეცი“ — 4:1.
„ორილია სოვეტოვ“ —
„ზარია“ — 0:2.
„პაირატი“ —
„დნეპრი“ — 0:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ნოემბრისათვის	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	28	12	15	1	45-12	39
„დინამო“ თბ.	28	11	13	4	40-26	35
„ტორპედო“	28	12	11	5	28-21	35
„დინამო“ მ.	28	8	16	4	32-20	32
„შახტიორი“	28	8	15	5	25-19	31
„ლოკომოტ.“	28	9	13	6	27-24	31
„პაირატი“	28	6	16	6	25-26	28
„ჩერნომორ.“	28	10	8	10	31-38	28
„ზენიტი“	28	8	11	9	32-30	27
„ზარია“	28	8	10	10	27-23	26
„არარატი“	28	7	12	9	27-31	26
„დნეპრი“	28	9	8	11	23-28	26
ცსკა	28	5	16	7	26-36	26
„ნეფტჩი“	28	5	15	8	24-33	25
„პარპატი“	28	5	13	10	24-29	23
„არ. სოვეტ.“	28	2	6	20	14-54	10

პირველი გამარჯვება

კვირას უეფას ტურნირის პირველ შესარჩევ მატჩში სსრ კავშირის იუნოორთა ნაკრებმა (18 წლამდე) ავსტრიის ქალაქ შტეირში დაამარცხა თანატოლთა გუნდი — 2:0 (1:0). განმეორებითი შეხვედრა გაიმართება 1978 წლის გაზაფხულზე.

ჟიდვ სამ ფილადელფია

ამ დღეებში მსოფლიო ჩემპიონატის არგენტინის ფინალური ასპარეზობის საგზურები დაიმსახურეს პოლონეთის, ავსტრიისა და შეუცლის ნაკრებმა გუნდებმა.

ბუდაპეშტში უნგრეთის ნაკრებმა დაამარცხა სამხრეთამერიკელი ნეტოქე — ბოლივიის გუნდი — 6:0. განმეორებითი შეხვედრა გაიმართება ლა-პასში 30 ნოემბერს.

ჭადრაკი

ახლა უმაღლეს ლიგაში

ბაკოში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი პირველი ლიგის მოკვადრაკეებისაგვის. ტურნირი დაუმარცხებლად გასვლა ეროშილოვგრადელმა დიდოსტატმა **გენადი კუზმინმა, რომელმაც 17 შესაძლებლიდან 11,5 ქულა დაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა.**

გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა ოდესელი ვლადიმერ ტუკმაკოვი, მეორე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ოსკოველებმა კარენ გრიგორიანმა და ბორის გულკომ (10,5-10,5 ქულა), ხოლო მეხუთე-მეექვსე — ლენინგრადელმა ალექსანდრ კოჩიევმა და ბაქოელმა ვლადიმერ ბაგიროვმა (9,5-9,5 ქულა).

ექვსივე ოქმადრაკემ მოიპოვა უმაღლესი ლიგის სარეიტინგო ჩემპიონატის საგზურები. ბრძოლის სიმძაფრეს მოწმობ[illegible] ფაქტიც, რომ უმაღლესი ლიგ[illegible]ენ გზა ვერ გაიკაფეს ქვეყნის [illegible]-ჩემპიონებმა ა. ბელიავსკიმ[illegible] ვ. სავონმა და მ. ტაიმანოვმა.

სასკა - ცსკა — 4:2

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა და პრეტენდენტთა ასპარეზობის ფინალისტმა ბ. სპასკიმ წვრთნის მიზნით 6 პარტიისაგან შემდგარი მატჩი ითამაშა ახალგაზრდა ჰოლანდიელ დიდოსტატ ი. ტიმანთან. შეხვედრა ამსტერდამში გაიმართა.

სპასკიმ მოიგო პირველი და მესამე პარტიები, რომლებშიც თვრმრებით თამაშობდა, დანარჩენი ოთხი კი ყაიმით დასრულდა. ამრიგად მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მოიგო მატჩი ანგარიშით 4:2.

პრეტენდენტთა ფინალური მატჩი, რომელიც 20 პარტიისაგან შედგება, იწყება ბელგრადში 15 ნოემბერს. მთავარ მსაჯად დანიშნულია საერთაშორისო არბიტრი, ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი ბ. კაჟანი (იუგოსლავია).

„სპორტლოტო“

გაცნობებთ 29 ოქტომბერს გამართული „შაბათის სპორტლოტოს“ (36-დან 5) ტირაჟის შედეგებს:

პირველი ტირაჟი: 31 (ძალოსნობა), 35 (ბალახის ჰოკეი), 36 (შაიბიანი ჰოკეი) 20 (თხილამურტრამპლინი), 30 (სასტენდო სროლა).

მეორე ტირაჟი: 32 (ფარიკაობა), 23 (წყალბურთი), 9 (წყალბურთი), 10 (ფრენბურთი), 26 (სამბო). (საკდესი).

ტაინვარჯიში

თოთხმეტი ოქრო

ესპანეთის ქალაქ ოვიედოში დამთავრდა ასპარეზობა მსოფლიოს თასებისათვის. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მრავალქლეში გამარჯვებისათვის კვლავ საბჭოთა სპორტსმენი ავიდა — 16 წლის ლენინსკაზნეცელი **მარია ფილატოვა** (38,95 ქულა). მეორე ადგილი დაიკავა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელმა **შტეფი კრეკერმა** 38,9), მესამე იყო როსტოველი **ნატალია შაპოშნიკოვა** (38,2).

კვირას სპორტსმენები თასებს ერთმანეთს ეცილებოდნენ ცალკეულ სახეობებში. აი გამარჯვებულნი: ქალები — **ფილატოვა** (თავისუფალი ვარჯიში — 19,7 ქულა), **ელენე ბუხინა** (ორძელი — 19,6, დვირი — 19,3), **შაპოშნიკოვა** (ბჯენი ხტომა — 19,425); კაცები — **ნ. ანდრიანოვი** (თავისუფალი ვარჯიში — 19.25, ორძელი — 19,2, რგოლები—19,7), **ვ. ბარკელოვი** (ხტომა — 19,15). მანვე პირველი ადგილები გაიყო ტაიჭუ **მიხაელ ნიკოლაისთან** (ბარი — 19,5, ღერძზე — **ეგორაროვ გინგერთან** (ბფრ) და **ა. ტაჩოვთან** (19,6 ქულა).

სულ საბჭოთა სპორტსმენებმა ზინ წამოიღეს 14 ოქროს, ექვსი ვერცხლის და ხუთი ბრინჯაოს მედალი.

— მოკლედ

კალათბურთი. პენზაში მთავრდება უმაღლესი ლიგის ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტური მეორე ექვსეულისათვის. დაუმარცხებლად ებრძვის მხოლოდ ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი რიგის ტტტ — ოთხი გამარჯვება ოთხიდან. ბოლო მატჩში მან დამარცხა ლენინგრადის „სპარტაკი“ — 94:75. სამ-სამი ქულა აქვთ ცსკა-სა და ვილნიუსის „კიბირკშტის“ (მათი მატჩი დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით 74:64).

ვოლეიბოლი. ერევანში დამთავრდა სსრ კავშირის თასისათვის ასპარეზობა **საგზატეხილო რბოლაში. 120 კილომეტრზე შეჯიბრებაში გიმარჯვა ლენინგრადელმა ვიქტორ ხუტუნენმა (48 ქულა). სსრ კავშირის თასი დაიმსახურა უკრაინის ნაკრებმა (182 ქულა), მეორეზეა ბელორუსიის (89 ქულა), მესამეზე — რუსეთის სფსრ გუნდი (84 ქულა).**

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სპეციალური განათლების სამინისტრო

აცხადებს 1977-1978 სასწავლო წლისათვის რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებაზე მიღებას.

მიღება იწარმოებს დღის სწავლებაზე, სწავლის ხანგრძლივობა — 8 თვე.

მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე პირები, მოწინავე მუშები, კოლმეურნეები (რომელთაც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ აქვთ უკანასკნელ სამუშაო ადგილზე სულ ცოტა ერთი წლის უწყვეტი მუშაობის სტაჟი), სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დემობილიზებულნი, აგრეთვე პარტიული და კოოპერატიული ორგანიზაციების განთავისუფლებული მდივნები და პროფორგანიზაციის თავმჯდომარეები, თუ ამ თანამდებობაზე არჩევამდე მუშაობდნენ მუშად ან კოლმეურნეობაში. ზემოაღნიშნული პირები მიღებულ უნდა იქნან შესაბამისი ორგანიზაციებისა და საბჭედრო ხაწილების მიერ.

მოსამზადებელ განყოფილებაზე მივლინების უფლება აქვთ სამრეწველო საწარმოებს, მშენებლობებს, სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის და გეოლოგიურ-საძიებო ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, „სოფლტექნიკის“ გაერთიანებებსა და განყოფილებებს, სამხედრო ნაწილებს, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების საცდელ საწარმოებს, თუ ამ საწარმოების საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეტანილია სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმაში.

საავადმყოფო ინსტიტუტთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებაზე, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პირებისა, მიიღებიან სულ ცოტა ორი წლის სტაჟის მქონე უმცროსი სამედიცინო პერსონალი (ავადმყოფის მომვლელი უმცროსი მედდები და სანიტრები), აგრეთვე სანიტარულ-პროფილაქტიკური, საფთიაქო და სასამართლო ექსპერტიზის სანიტრები.

მოსამზადებელ განყოფილებაზე გასაგზავნი კანდიდატურების ფართოდ განხილვა ეწყობა საწარმოო თათბირებზე, კრებებზე, კოლმეურნეობათა გამგეობების სხდომებსა ან კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

ის პირები, რომლებიც **დემობილიზებული არიან 1976 წლის 10 ნოემბრის შემდეგ,** აგრეთვე **მიმდინარე წლის მაის-ივნისში** და **აქვთ სამხედრო ნაწილიდან მოსამზადებელ განყოფილებაზე მომართვა,** აგრეთვე **დადებითი დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან,** მოსამზადებელ განყოფილებაზე იგზავნებიან შესაბამისი გამოყოფილი ადგილების ხარჯზე.

საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნებულმა პირებმა **მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე** ჩამოსვლისთანავე უნდა მიმართონ **შესაბამის** რაიონულ, საქალაქო **აღმასკომს** საცხოვრებელი ადგილის **მიხედვით.** ამ პირებმა, რომლებიც დემობილიზებული იქნებიან **1 ნოემბრიდან 10 ნოემბრამდე,** უშუალოდ უნდა მიაართონ იმ უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც ისინი არიან ძოვლინებული სამხედრო ნაწილის ძეერ (ეგზავ თბილისის საქედიცინო ინსტიტუტისა).

მოსამზადებელ განყოფილებაზე მოვლინებულ პირებს, ეძლევათ დადგენილი ხიმუშის მიმართვა უმაღლესი სასწავლელის რექტორის სახელზე (დანართი № 1) და ორგანიზაციის შესაძლებლობისაებრ დანართი № 2, ორმლითაც ორგანიზაცია კისრულობს მოვლინებულ პირთათვის სტიპენდიის მიცემას. აიეთ პირებს უნდა ჰქონდეთ მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი.

მიღება იწარმოებს შემდეგ უმაღლეს სასწავლელებთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებებზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, (მსმენელებს აბზადებს აგრეთვე ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცაო ენათა პედინსტიტუტისათვის), საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ნ. მუსელიშვილის სახელობის ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, საქართველოს სასოფლო-საძეურნეო ინსტიტუტი (მსმენელებს ამზადებს აგრეთვე საქართველოს ზოოტექნიკურ-საცეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტისათვის), საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი (სოხუმი-კელასური), თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (მსმენელებს ამზადებს აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის, გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის), ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი (მსმენელებს ამზადებს აგრეთვე სოხუმის მ. გორკის სახელობის და ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის).

მოსამზადებელ განყოფილებაზე მივლინებულმა პირებმა უმაღლესი სასწავლელის რექტორის სახელზე უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება, მომართვა მოსამზადებელ განყოფილებაზე მოვლინების შესახებ (გაცემული შესაბამისი ორგანიზაციის მიერ შეთანხმებული ადგილობრივი ხელმძღვანელ ორგანოებთან), ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული ნოტარიუსის მიერ, ცხობა თვეების მიხედვით გამოძუშავების შესახებ, (კოლმეურნეებისა — ცხობა უკანასკნელ კალენდარულ წელს გამოშუშავებული შრომადღეების შესახებ), დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ, დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (ფოდანი) დახასიათება, 6 ფოტოსურათი, დამოწმებული (უქუდოდ 3X4 სმ), ცხობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), პასპორტი, სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა. დემობილიზებულმა უნდა წარმოადგინონ ცხობა სამხედრო კომისარიატიდან დემობილიზაციის შესახებ.

მოსამზადებელ განყოფილებაზე მოვლინებულმა პირებმა, საბუთები შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში უნდა წარმოადგინონ.

სწავლა დაიწყება 1 დეკემბერს.

ის მსმენელები, რომლებიც წარმატებით ჩაბარებენ გამოსაშვებ გამოცდებს, ჩაირიცხებიან უმაღლესი სასწავლებლის მხოლოდ დღის განყოფილებაზე. განყოფილებაზე ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით დადგენილი წესით და შესაძლებლობისამებრ საერთო საცხოვრებლით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება უმაღლეს სასწავლებელთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებაზე.

დაწესებულების
შტამპის ადგილი

დანართი № 1

. . . . . .
. . . . . .
(უმაღლესი სასწავლებლის დასახელება)
. . . . . **რექტორს**
. . . . . .
ამხ. . . . . . .
(სახელი, მამის სახელი და გვარი სრულად)
. . . . . .
მუშათა, კოლმეურნეთა და სხვა საწარმოს, ორგანიზაციის . . . . .
. . . . . **საერთო კრების** . . . . . .
(ოქმის № და რიცხვი)
კრების გადაწყვეტილების თანახმად იგზავნება სასწავლებლად
. . . . . .
. . . . . **მოსამზადებელ განყოფილებაზე**
ბ. ა.
საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი
. . . . . .
(გვარი და ინიციალები)

დაწესებულების
შტამპის ადგილი

დანართი № 2

. . . . . .
. . . . . **რექტორს**
სსრკ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის № 1099 დადგენილების შესაბამისად ამხ. . . . . . .
(სახელი, მამის სახელი და გვარი სრულად)
. . . . . .
(მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა და სხვა საწარმოს
. . . . . **საერთო**
ორგანიზაციის დასახელება, ოქმის № და რიცხვი)
კრების გადაწყვეტილების თანახმად იგზავნება სასწავლებლად
. . . . . **არსებულ მოსამზადებელ განყოფილებაზე**
(უმაღლესი სასწავლებლის დასახელება)
ამხ.
(გვარი და ინიციალები)
სწავლის პერიოდში . . . . . .
(საწარმოს, ორგანიზაციის დასახელება)
. . . . . **მოვალეა აძლიოს მას უმაღლესი სასწავლებლის შესაბამისი კურსის სტუდენტებისათვის დაწესებული ყოველთვიური სტიპენდია 15 პროცენტის დანამატით.**
ბ. ა.
საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელი:
მთავარი ბუღალტერი (ბუღალტერი):

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის დინამოს სტადიონი

(აკ. წერეთლის პროსპ. № 2)

2 ნოემბერს

ფეხბურთი

უეფა-ს თასზე

„დინამო“ (თბილისი) — „ბკ კოპენჰაგენი“ (დანია)

დასაწყისი 18 საათზე

ორგანიზაციებზე ბილეთები გაიყიდება 1 ნოემბერს დილის 10 საათიდან. საერთოდ გაყიდვა — 2 ნოემბერს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

ტელევიზია

1 ნოემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში (ფერადი, მოსკოვიდან), 10.30 — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის. სატელევიზიო ფილმი „წელი 1974“ სერიიდან „საბჭოთა საქართველოს მატიანე“, 11.20—კონსერვატორია, 11.30 — მხატვრული ფილმი „სიყვარულის მონა“ (ფერადი), 17.25 — განცხადებები, 17.30 — შვიდსწავლოთ ინგლისური ენა, 18.00 — ალეკრის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა, მიძღვნილი ეროვნული დღესასწაულისადმი (ფერადი, მოსკოვიდან), 19.00 — „საიუბილეო პრემიერა“ — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „უკანასკნელი ნახტომი“ ფერადი, 19.25 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული ზეიმი. გადაცემა ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლიდან. (ფერადი, მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავისათვის „ესტრადა და თანამედროვეობა“ (საბჭოთა ესტრადა), (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — სტუდენტთათვის — თეორიული მექანიკა, 18.45 — მხატვრული ფილმი „ჩემო ძვირფასნო“, 20.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები „დიდი პატარა როლი“ და „ფიქრები გზაზე“, 21.00 — განცხადებები, 21.05 — კონცერტი

ოლიმპია

2 ნოემბერი

პირველი პროგრამით

06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — ჩვენი მთა-ბარის ანგარიში, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.30 — ჰიმნი საშობაოს — კონცერტი, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — გ. კილაძე — „კანტატა საქართველოზე“ 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 10.55 — სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რსფსრ უმაღლესი საბჭოს მრთობლიური საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. 23.30 — კონცერტი რ. ლაღიძის ნაწარმოებებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

მეორე პროგრამით

17.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.30 — რუსეთ-ბელიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — საორკესტრო ფანტაზიები, 19.00 — ფეხბურთი „უეფას“ თასზე: „დინამო“ (თბილისი) — „ბკ კოპენჰაგენი“ (დანია) — შეხვედრის მეორე ნახევრის რეპორტაჟი, 19.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.55 — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად. საზეიმო კონცერტი. ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. 23.30 — კონცერტი რ. ლაღიძის ნაწარმოებებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ოდესა

1 ნოემბერი

შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — საბრალდებო დასკვნა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — (რკინიგზელთა კულტურის სახლში, პლეხანოვის გამზ. № 127) — ძველი ოდესელები; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ლამპანჩელა; ახალგაზრდული დრამატული თეატრი-სტუდია — კაციის ტვირთი.

კომუნისტი **ჩვენი მისამართი და ტელეფონები**

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებისა—99-93-03, 99-03-09 პ/მგ მდ ვნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-24, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УГ 10231 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14